პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 თებერვალი, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 23 (9942) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## რესპუბლიკის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება

### თბილისში ატარებს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადას

## პროგრამაშია:

- ● **მინი-ფეხბურთი.** 2-6 თებერვალი. „ბურევესტნიკის" სპორტული კომპლექსი. 12 სთ.
- ● **ჭადრაკი.** 3-8 თებერვალი. საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლის საჭადრაკო კლუბი. 12 სთ.
- ● **ფრენბურთი.** 3-8 თებერვალი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის №1 და №9 კორპუსების სპორტული დარბაზები. 12 სთ.
- ● **ტყვიის სროლა.** 6-7 თებერვალი. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ტირი. 12 სთ.
- ● **ცურვა.** 7-8 თებერვალი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცურაო აუზი. 12 სთ.

გუშინ დილით ჩატარდა შეჯიბრება მძლეოსნობაში. გუშინვე ასპარეზობა საზეიმოდ გაიხსნა.

## რესპუბლიკა მადლობას უძღვნის

ისინი — საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის წევრები მინსკში გამართულ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ შინ დაბრუნდნენ. მოპოვებულია საერთო გუნდური პირველი ადგილი და 13 მედალი. ასეთი წარმატება ჯერ არ ახსოვს სპორტის ამ სახეობის ისტორიას.

რესპუბლიკა მადლობას უძღვნის ფალავნებს.

სურათებზე: გამარჯვებული გუნდი აეროპორტში და რესპუბლიკის სპორტსახკომში მიღებაზე.





## ...იდევ ერთი სპონსორი

**ჩვენ** უკვე ვიუწყებოდით, რომ ...ედაურში წელს ქალთა შორის დაგეგმილი ევროპის პირველობის ერთ-ერთი ეტაპის სპონსორობა იკისრა ტურბინების მცხეთის საკავშირო ქარხანა „ჩაიკას" შრომითმა კოლექტივმა. გუშინ რედაქციაში მივიღეთ ახალი ცნობა — გამოჩნდა კიდევ ერთი სპონსორი. ეს გახლავთ საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი კურორტების გაერთიანება „საქკურორტი" (გენერალური დირექტორი ზ...ა ღულუნიშვილი).

## თერთმეტნი ნაკრებში

სულ მალე ახალგაზრდა ძიუდოისტები (1972-1974 წწ. დაბადებულნი) შეიკრიბებიან კრემენჩუგში, სადაც საკავშირო პირველობა გაიმართება. ეს შეჯიბრება საუწყებოა და ამიტომ წინასწარ ჩატარდა სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების პირველობები ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად.

დინამოელები ლუცკში ასპარეზობდნენ. იქ ჩვენი ფალავნებიდან ყველაზე უკეთ გამოვიდა ქუთაისელი ვალერი კიბორძალიძე, რომელიც უძლიერესი იყო 90 კგ წონით კატეგორიაში. სხვათა შორის, იგი ცნობილი ძიუდოისტის აკაკი კიბორძალიძის უმცროსი ძმაა.

თბილისელმა ირაკლი უზნაძემ (75 კგ) და ახმეტელმა კახა ლუზარაულმა (49) მეორე ადგილები დაიკავეს. მესამე ადგილზე გავიდნენ რევაზ წიწაკაშვილი (62, ახმეტა), გრიგოლ გავარდაშვილი (83, ახმეტა) და პ. ლოხიშვილი (75, თბილისი). ასპარეზობის შედეგების მიხედვით ნაკრებ გუნდში 11 ქართველი ფალავანი ჩარიცხეს.

## ...ხუთი ტურის შემდეგ

**ახალგაზრდა** ოსტატ მოჭადრა... ვეთა საკავშირო პირველობის ...ტურში დიდ ინტერესს იწვევდა ...ორგაძე-აკოფიანის, ოლ-ანასტა...ანის პარტიები.

...გიორგაძე-აკოფიანის შეხვედრაში ...ტოკეებმა ძველინდური დაცვის ...ერთ-ერთი აქტუალური ვარიანტი ...თამაშეს. დებიუტში გიორგაძემ ...სარბიელო პოზიცია ვერ მიიღო, ...გრამ მიტელშპილში თანდათანობით შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. საბოლოოდ პარტია გაიდო, სპეციალისტების აზრით, ...მია მოსალოდნელი.

...ოლ-ანასტასიანის პარტიაში სი...ლიური დაცვის ერთ-ერთი ვა...ანტი გათამაშდა. ანასტასიანმა ...ტელშპილში ხარისხი შესწირა მე...ქეს, რომელმაც შეწირვა მიიღო ...უკეთესი პოზიციაც შეინარჩუნა, თუმცა, ოლი თანდათან ცაიტნოტში მოექცა, სწორად ვერ შეაფასა პოზიცია, უხეში შეცდომა დაუშვა და საბოლოოდ თავი დამარცხებულად ცნო.

დაზავდნენ სერპერი-ნევეროვი, შიროვი-ეპიშინი, დაუტოვი-როზენტალისი, ტიმოშენკო-შაბალოვი. გადაიდო ულიბინ-სავჩენკოსა და რუბან-დრეევის პარტიები.

5 ტურის შემდეგ 3,5 ქულითა და ერთი გადადებული პარტიით შეჯიბრებას სათავეში მოექცა ერევნელი საერთაშორისო ოსტატი აშოტ ანასტასიანი. მას კვალდაკვალ მიჰყვებიან ლემბიტ ოლი (ტალინი), ედვარდ როზენტალისი (ვილნიუსი) — 3-3, რუსტემ დაუტოვი (მინსკი), ვალერი ნევეროვი (კიევი), ალექსანდრე შაბალოვი (რიგა) — 2,5-2,5 (1-1).

## კვლავ ყაიმი

**როგორც** იცით, კვებეკში (კანა...) ფრედ დამთავრდა ჭადრაკში ...ოფლიო პირველობის მეოთხედ...ნალური მატჩის „ძირითადი დრო" ...ჭოთა დიდოსტატ არტურ იუ...პოვსა და კანადელ კევინ სპრა...ტს შორის. დაინიშნა დამატებით ორი პარტია. პირველ შეხვედ...ში თეთრი ფიგურებით იუსუპ...ი თამაშობდა. ახალინდურ პარ...აში მან დიდი უპირატესობა მი...ო, მაგრამ სასტიკ ცაიტნოტში მოექცა და ვერ შეძლო პარტიის გამარჯვებამდე მიყვანა. 27-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. მატჩის ანგარიში გახდა 3,5:3,5. ახლა ყველაფერი ამ მეტოქეების მეორე შეხვედრაზეა დამოკიდებული. თუ ის პარტიაც ყაიმით დამთავრდება, გამარჯვებულის გამოსავლენად მატჩი რომელიმე მეტოქის პირველ მოგებამდე გაგრძელდება, ოღონდ შემჭიდროვებული საკონტროლო დროით.

## ველით შეკვეთებს

**„ლელოს"** რედაქციამ, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, ორგანიზატორის როლი იკისრა რესპუბლიკის საკალათბურთო მოედნებისათვის რგოლების დამზადების საკითხის მოგვარებაში. გაცნობეთ ისიც, რომ თბილისის საქარხნო რაიონის პარტიული კომიტეტის ინიციატივით გამოჩნდა ორგანიზაცია (არასტანდარტული მოწყობილობების ქარხანა), რომელმაც ითავა ამ სპორტული ინვენტარის დამზადება. ჩვენ ვთხოვეთ ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს, სამინისტროებს, უწყებებს, პროფკავშირის დარგობრივ კომიტეტებს რედაქციაში გამოეგზავნათ განაცხადი, რომლის მიხედვით ქარხანა დაამზადებდა საჭირო რაოდენობის კალათბურთის რგოლებს. ჯერჯერობით მოთხოვნა მივიღეთ მხოლოდ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის საბინაო ტრესტის კოოპერატივ „სიმხნევიდან", რომელიც 200 წყვილ კალათბურთის რგოლს ითხოვს.

მეტად საჭირო ინვენტარის დამზადებას ნუ შევაფერხებთ. გთხოვთ სასწრაფოდ მოგვაწოდოთ შეკვეთები.

## საქართველოს სპორტსახკომში

**როგორც** ცნობილია, მიმდინარე წლის 17 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნები რესპუბლიკის ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. სპორტსახკომის კოლეგიამ ბიუროს სხდომაზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებთან დაკავშირებით დაამტკიცა პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებათა გეგმა. მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობას კოლეგია დაუბრუნდება 1990 წლის პირველ კვარტალში.

განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 თებერვლის №166 დადგენილების შესაბამისად ფიზკულტურული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემის გაუმჯობესების საკითხი. აღინიშნა, რომ კადრების კვალიფიკაციის ამაღლება დღეს ძალზე მნიშვნელოვანი ამოცანაა და, მთავარია, ამ საქმეში უარყოფილ იქნეს მოძველებული მეთოდები, საჭიროა კურსებზე მოვიწვიოთ საუკეთესო ლექტორები. მიღებულია გადაწყვეტილება, რომლითაც სპორტსახკომის კოლეგიის წევრებსაც ევალებათ კურსების მსმენელებთან შეხვედრა და საუბრები. ამასთან, მწვავედ დაისვა ცალკეული სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხი კურსებზე სპეციალისტთა მივლინების უზრუნველსაყოფად. ხშირია შემთხვევები, როცა მსმენელები კურსებზე არ ცხადდებიან, ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოები კი მათ მიმართ არ იღებენ გადამჭრელ ზომებს.

საზოგადოებრივი აზრი — მუშაობის სრულყოფის ორიენტირია! ეს ჭეშმარიტება კიდევ ერთხელ დადასტურდა, როცა კოლეგიაზე მოისმინეს ინფორმაცია საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კვლევითი ინსტიტუტის სოციოლოგიის განყოფილების მუშაობის შესახებ. განყოფილების მუშაობა შეფასდა დამაკმაყოფილებლად. დაისახა ღონისძიებები საზოგადოებრივი აზრის შესწავლის სისტემატიზაციის, ოპერატიული კვლევისა და ამ საქმეში სხვა უწყებათა წარმომადგენლების ჩართვის უზრუნველსაყოფად.

რესპუბლიკის კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა ქვეყნის წლევანდელ პირველობაში დაიკავეს VI ადგილი. პირად პირველობაში მოპოვებულია თითო ოქროსა და ვერცხლის მედალი, IV ადგილზე გავიდა ორი სპორტსმენი. მიუხედავად წინგადადგმული ნაბიჯისა, საქართველოს ნაკრები გუნდის გამოსვლა ჩაითვალა არასაკმარისად. მიღებულ დადგენილებაში ყურადღება გამახვილდა სასწავლო-საწვრთნო პროცესის სრულყოფაზე, სპორტსმენთა ტაქტიკურ-ტექნიკური, ფსიქოლოგიური მომზადების, სამედიცინო კონტროლის, სავარჯიშო პირობების გაუმჯობესებაზე.

კოლეგიის ამ სხდომაზე დღის წესრიგში იდგა აგრეთვე სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს მიერ 1988 წლის საფეხბურთო სეზონში გაწეული მუშაობისა და ახალი სეზონის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ. სხვა ღონისძიებებთან ერთად კოლეგიამ დაავალა ფეხბურთის სამმართველოს მკაცრად დაიცვას სპორტსახკომის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს 1989 წლის ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დებულებით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა.

კოლეგიამ განიხილა აგრეთვე „სპორტსახკომის სისტემაში სტატისტიკური აღრიცხვა — ანგარიშგებისა და მათი წარმოების სისწორის შემოწმების შედეგები" და „რესპუბლიკის სპორტული ნაკრებების კოლექტივების საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობის შესახებ", დაამტკიცა ნომენკლატურული მუშაკები, რამდენიმე სპეციალისტს მიანიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი და მისი წვლილი — აფხაზეთი

# არა მხოლოდ მასპინძლის როლში

— **ფიზკულტურისა** და სპორტის განვითარების მხრივ ერთი შეხედვით აფხაზეთს წამყვანი ადგილი უჭირავს მთელი ქვეყნის მასშტაბით. საქმე ისაა, რომ აქ საკავშირო ნაკრები გუნდების სავარჯიშოდ ბევრი შესანიშნავი ბაზაა და ჩვენთან მომზადებული გუნდები წარმატებით გამოდიან სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში. სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ მასპინძლების როლში გამოვდივართ, აფხაზეთის წარმომადგენლებს ჩვენს ტერიტორიაზე მდებარე ბაზებთან და საკავშირო ნაკრებ გუნდებთანაც უმნიშვნელო კავშირი აქვთ — ასე დაიწყო „ლელოს“ კორესპონდენტთან აფხაზეთის სპორტსახკომის თავმჯდომარის ვალერი ლოგუას საუბარი.

— აფხაზეთის საუკეთესო ბაზები ჩვენი სპორტსმენებისთვის მხოლოდ მაშინაა ხელმისაწვდომი, როცა მათ ნაკრებ გუნდებში იწვევენ. საკავშირო ნაკრები გუნდების კანდიდატები რომ აღვზარდოთ, საამისოდ, ასე თუ ისე, ნორმალური საკუთარი ბაზები, სამწუხაროდ, დღემდე არ გაგვაჩნია.

ამ მხრივ ახლა ბევრი სიახლეა. ეშერაში საკავშირო დაქვემდებარების სპორტული ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე 2 ჰექტარი მიწის ნაკვეთია. აქ მაკეევკის მეტალურგიული ქარხანა 102-ადგილიან საცხოვრებელ კორპუსს აშენებს იმ პირობით, რომ ზაფხულობით 50 ადგილს, ღირებულების ანაზღაურებით, მათი სპორტსმენებისთვის გამოვყოფთ, დანარჩენი ჩვენი ათლეტების განკარგულებაში იქნება. აქვე საქართველოს სპორტსახკომი აშენებს 134-ადგილიან საცხოვრებელ კორპუსს, რომელსაც რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში შემავალი აფხაზეთის სპორტსმენებიც გამოიყენებენ. ორივე საცხოვრებელი კორპუსი ექსპლოატაციაში წელს შევა. ამის შემდეგ ჩვენს სპორტსმენებს შეეძლებათ ისარგებლონ საკავშირო დაქვემდებარების ბაზებით, სადაც ხუთი საფეხბურთო მოედანი, დახურული და ღია მძლეოსნობის მანეჟები, ტანვარჯიშული, სპორტთამაშების, კრივისა და აკრობატიკის დარბაზები, ჩოგბურთის კორტები და დახურული საცურაო აუზი მოქმედებს. აქვე მშენებლობის პროცესშია ორი დიდი დარბაზი, სადაც სპორტის უმრავლეს სახეობაში ვარჯიშის საშუალება ექნება როგორც აფხაზეთის, ისე საერთოდ რესპუბლიკის წარმომადგენლებსაც. აქვეა „დინამოს“ სასტენდო სასროლეთი, სოხუმის აგრომრეწვის საცხენოსნო ბაზა. მას უნდა გადაეცეს ტერიტორიის ნაწილი და აქ 1400-მეტრიანი საცხენოსნო სარბენი ბილიკიც მოეწყოს. იგი საერთაშორისო სტანდარტებს დააკმაყოფილებს.

**● გალის წყალსაცავის ბაზა, მთელს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ამ ბაზამ რამე სიკეთე თუ მოუტანა აფხაზეთის სპორტსმენებს, ან საერთოდ საქართველოს ნიჩბოსნებს?**

— გალის წყალსაცავზე მართლაც კარგი საწვრთნელი ბაზაა, მაგრამ ისიც საკავშირო დაქვემდებარებისაა. სამწუხაროდ, საქართველოს სპორტსმენებმა მისი გამოყენება ვერ მოახერხეს. თავის დროზე აქ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნემაც“ დაიწყო ბაზის მშენებლობა, მაგრამ ამ წამოწყებას დიდი შედეგები არ მოჰყოლია. ახლა ეს ბაზა პროფკავშირების სპორტსაზოგადოებას გადაეცა, აფხაზეთს კი არ დაუდგა ისეთი შემთხვევა, რომ ძვირადღირებული ინვენტარი შეეძინა გალელი სპორტსმენებისთვის, რომლებიც წყალსაცავთან ახლოს არიან. ახლა პროფკავშირთა გალის ბაზაზე სანიჩბოსნო სკოლა გავხსენით. საკავშირო სპორტსახკომმა 28 ძვირადღირებული ბაიდარა გადმოგვცა. კიდევ ამდენივეს გვპირდებიან. ამიტომაც იყო აფხაზეთის გუნდმა ნიჩბოსნობაში საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება რომ მოიგო. აქვე უნდა ვთქვათ, რომ წყურგილეს საბაიდარო ნიჩბოსნობის ბაზას, კეთილმოწყობის შემდეგ, კარგ მომავალს ვუწინასწარმეტყველებთ. ეს ბაზა წყურგილეს ინერტული მასალების ტერიტორიაზე ამოღებული ინერტული მასალების ქვაბულშია. ტბა ორი კილომეტრი სიგრძისა და 400 მეტრი სიგანისაა. აქ სპორტსმენთა საცხოვრებლად შევიყვანეთ და სამუდამო სამყოფელი მივუჩინეთ თბომავალ „კოლხიდას“, რომელიც შავი ზღვის სანაოსნოდან ლენინგრადის ქარხანა „კრასნაია ზარიას“ და რიგის ქარხანა ვეფის მიერ გადმოცემული თანხებით შევიძინეთ. თბომავალზე ორ და ოთხადგილიან კაიუტებში 300 ადგილია. აქ სპორტსმენთა ნორმალური ცხოვრებისთვის ყველა პირობაა. თბომავალი სტუმრებს მაის-ივნისში მიიღებს.

**● რამდენადაც ვიცით, სოხუმში ორი სტადიონია და ორივეს რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. ახლა როგორ იყენებთ ამ ბაზებს?**

— რესპუბლიკურ სტადიონზე კარგი ტემპით მიდის სარეკონსტრუქციო სამუშაოები. სარბენ ბილიკებზე სპეციალური საფარი იგება. აქ დასასრულს უახლოვდება ორი სავარჯიშო მოედნის კეთილმოწყობა. ამ სტადიონზე მუშაობს სპორტსმენთა აღდგენითი ცენტრი, რომელიც მოსახლეობას ფასიან მომსახურეობას უწევს. აქ პროექტით გათვალისწინებულია 15 ათასი მაყურებლისთვის ტრიბუნების მოწყობა, მის ქვემოთ კი მძლეოსნური მანეჟი იქნება. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 400 ათასი მანეთია. ეს თანხა ჯერ გამოიყო, შემდეგ რატომღაც მოგვიხსნეს.

სამწუხაროდ, ცუდ მდგომარეობაშია „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქციის საქმე, ხუთი წელია სტადიონი დანგრეულია და მის აღდგენას საშველი არ დაადგა. გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი ფაქტი — სოხუმში ძველი ტანვარჯიშული დარბაზის გვერდით ახლის მშენებლობა დაიწყეს, შემდეგ თანხების უქონლობის გამო მშენებლობა შეჩერდა. არადა, ძველი დარბაზი ვერავითარ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

**● აფხაზეთის სხვა ქალაქებში და რაიონებში რა მდგომარეობაა ბაზების მშენებლობის მხრივ?**

— კარგი ბაზები გვაქვს გაგრაში, ლესელიძეში. ბზიფში აგრომრეწვი იპოდრომს აშენებს. აღდგენა სჭირდება ბიჭვინთის საცურაო აუზს. კარგი იქნება, თუ ამ საქმეს კურორტის ხელმძღვანელობა ითავებს. სტადიონი აშენდა ტყვარჩელში. იქვე დაწყებულია და წელს დამთავრდება სპორტდარბაზის და საცურაო აუზის მშენებლობაც. სასიამოვნო ძვრებია ოჩამჩირის რაიონში. რაიაღმასკომის სახსრებით შენდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი... სხვა ქალაქებსა და რაიონებში გვაქვს სპორტული ბაზები, რომლებსაც, პირდაპირ ვიტყვი, სრული დატვირთვით ვერ იყენებენ.

**● სასიამოვნოა, რომ სპორტული ბაზების მშენებლობა ასე მასშტაბურია, მაგრამ თქვენი სპორტსმენები მიღწევებით მაინცა და მაინც თავს ვერ მოიწონებენ. როგორ ახსნით ამ ჩამორჩენას?**

— თუ წარსულზე ვილაპარაკებთ, აფხაზეთი ვალში არ არის, განსაკუთრებით ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ჭიდაობაში, ცხენოსნობაში, ნიჩბოსნობაში... მომავალი თაობა კარგი გვეზრდება და იმედი გვაქვს თავს არ შევირცხვენთ. რადგან ახლა გვყავს საკმაოდ ბევრი პერსპექტიული სპორტსმენი, რომლებიც მკვიდრად იკავებენ ადგილებს არა მარტო საქართველოს, არამედ საკავშირო ნაკრებ გუნდებშიც. ერთი სიტყვით, აფხაზეთში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების პერსპექტივას იმედით და რწმენით შევყურებთ.

საუბარი ჩაიწერა
**პირიმე გვარლიანმა.**
„ლელოს“ საკ. კორ.
სოხუმი.

ჯანმრთელობა — უწინარეს ყოვლისა!

# „ზაზა ფანასკერტელი“ — ახალი სამკურნალო სპორტულ-გამაჯანსაღებელი კერა

**თბილისში** გაიხსნა ფრიად საჭირო და სასარგებლო სამკურნალო სპორტულ-გამაჯანსაღებელი სამედიცინო კოოპერატივი „ზაზა ფანასკერტელი“. ეს ახალი სამკურნალო ცენტრი მოთავსებულია დავით აღმაშენებლის გამზირზე, № 115-ში, საინტერესოდ გაფორმებული, შინაარსიანი სარეკლამო სტენდები ზუსტად მიანიშნებს „ზაზა ფანასკერტელის“ ბინას.

აქ გამოკვლევებს ატარებენ, ავადმყოფებს კონსულტაციას უწევენ და მკურნალობენ მედიცინის ცნობილი სპეციალისტები, გამოცდილი პრაქტიკოსი ექიმები, პროფესორები, დოცენტები, უმაღლესი კატეგორიის სამედიცინო პერსონალი.

ახალი სამკურნალო სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივი საგრძნობლად განსხვავდება სხვებისგან. ჯერ ერთი, მას საკუთარი შენობა აქვს და ამიტომაც კლიენტთა მიღება შეიძლება უწყვეტად, მთელი დღის განმავლობაში, დილის 9-დან საღამოს 22 საათამდე. მეორეც ის, რომ აქ ავადმყოფთა უშუალო მკურნალობის გარდა ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი სპორტულ-გამაჯანსაღებელ მეთოდებს.

„ზაზა ფანასკერტელში“ ჩინურ ვარჯიშს უშუ-თერაპიას ატარებს დახელოვნებული სპეციალისტი ვაჟა გიგიტაშვილი. ინდურ ვარჯიშს იოგო-თერაპიას ხელმძღვანელობს ბომბეის სკოლის ტრადიციებზე აღზრდილი ნუგზარ მულაძე. პროსტატის პროფილაქტიკის, სამკურნალოდ არამწვავე ქრონიკული ოსტეოქონდროზის მოსარჩენად, აგრეთვე, წონაში დასაკლებად ძალზე სასარგებლოა ცხენზე ჯდომის ვარჯიშები, მკურნალობის ამ მეთოდებს ხელმძღვანელობს გია ჯაფარიძე. წერტილოვან მასაჟს ატარებს ფელიქს ლაპიცკი.

ახალ სამკურნალო სპორტულ-გამაჯანსაღებელ კოოპერატივში დიდი ადგილი დაეთმობა სპორტულ თამაშებს, კერძოდ, ფრენბურთსა და ჩოგბურთს. ეს მეცადინეობანი ჩატარდება კარდიოლოგიისა და სამკურნალო ფიზკულტურის ექიმის უშუალო კონტროლით. ამ თამაშისთვის საჭირო მოედნები მოთავსებულია კოოპერატივ „ზაზა ფანასკერტელის“ ეზოში, სპორტულ ბაზას აქვს კეთილმოწყობილი საშხაპეები და დასასვენებელი ოთახები. თბილისის ახალი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კერა დააარსეს ჯანდაცვის სისტემის გამოცდილმა ორგანიზატორებმა სოსო თავხელიძემ და გურამ ხაჭაპურიძემ.

სამედიცინო კოოპერატივ „ზაზა ფანასკერტელს“ უახლოეს ხანებში შეემატება ახალი დამხმარე ბაზა. კონსტიტუციის ქუჩაზე №6-ში მდებარე ლენინის სახელობის სპორტდარბაზში გაიხსნება კომპლექსის ფილიალი, რომელსაც ექნება ორიგინალური კონსტრუქციის სამკურნალო საუნა, საშხაპეები, ხოლო წონაში დაკლების მსურველთათვის — წყალქვეშა მასაჟის მოწყობილობა.

ზამთრის სპორტის მოყვარულთათვის „ზაზა ფანასკერტელს“ წლევანდელ ნოემბერს დაემატება კოოპერატიული ლუქსის ტიპის სანატორიუმი „კიკეთი“. ყველაფერი, რაც უკვე გაკეთდა და რის გაკეთებაც სამერმისოდაა გათვალისწინებული, შესრულებულია მაღალ მხატვრულ დონეზე, გემოვნებიანი, თანამედროვე დიზაინით. ამგვარი კომფორტული სერვისი ხელს უწყობს მკურნალობის მაღალ ეფექტურობას.

ისიც აღსანიშნავია, რომ „ზაზა ფანასკერტელის“ ნაყოფიერ საქმიანობას, ავადმყოფთა სამედიცინო-სპორტულ მკურნალობას დიდად უწყობენ ხელს წარსულში სახელმოხვეჭილი სპორტსმენები, კერძოდ, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, გამოჩენილი ფალავანი, ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი. სპორტკომპლექსის დირექტორია ინჟინერი გურამ ცქიტიშვილი, რომელმაც ახალი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრისთვის გამოათავისუფლა შენობა, მოაწყო სპორტული მოედნები.

სამკურნალო სპორტკომპლექსი „ზაზა ფანასკერტელი“ მზადაა მიიღოს პაციენტები და გამოჯანმრთელების მსურველნი.

• • •



**სურათზე: ზაზა ფანასკერტელის“ სამედიცინო პერსონალის ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) — რეფლექსოთერაპევტი გ. ხაჭაპურიძე, თერაპევტები — პროფესორი გ. რცხილაძე და დოცენტი მ. კანდელაკი, კარდიოლოგი, დოცენტი ნ. ემხვარი.**



+1

# ახალი სპორტული კომპლექსი

საქქაღალდმრეწვის ზუგდიდის ქაღალდის კომბინატის კოლექტივმა ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარულთ სულ ახლახან შესანიშნავი საჩუქარი მოუმზადა. საექსპლოატაციოდ გადაეცა დახურული სპორტული კომპლექსი (დირექტორი ნინო ბახტაძე). კომპლექსს აქვს საცურაო აუზი (25X11 მ), „საჭყუმპალაო“ (10X7 მ), სპორტთამაშებისა და კრივის დარბაზები, ჭადრაკის ოთახი.

სპორტკომპლექსი დაკომპლექტდა კვალიფიციური მწვრთნელებით, შეიქმნა ცურვის, კრივის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭიდაობის, ფარიკაობის, ჩოგბურთის, აერობიკის და ჯანმრთელობის ჯგუფები. სულ კომპლექსებში 1500 მოზარდი ვარჯიშობს. აქედან ცურვის ჯგუფში 1200 ბავშვია გაერთიანებული.

— აქ ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური მუშაობისათვის. გვაქვს საუკეთესო ხარისხის ინვენტარი. კომპლექსი ამჟამად სრული დატვირთვით მუშაობს და იმედი გვაქვს, რომ მომავალში ზუგდიდშიც აღიზრდებიან კარგი სპორტსმენები, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ცურვის მწვრთნელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ეთერ მძინარიშვილმა.

ენგურქაღალდის კომბინატი ახლა აშენებს 1.500-ადგილიან ფეხბურთის სტადიონს, მშენებლობა წლის ბოლოსთვის დამთავრდება.

**ნუგზარ ქვანია,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**



# „კლასიკოსთა“ პირველობა

**ახლახან** ჩატარებულმა თბილისის პირველობამ კლასიკურ ჭიდაობაში პერსპექტიულ (1969-70 წლებში დაბადებულ) სპორტსმენებს მოუყარა თავი.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს ოთარ ბაკურაძემ (48 კგ, „შრომითი რეზერვები“), ზურაბ ნიქაბაძემ (52, პროფკავშირები), პაატა ტატუაშვილმა (57, ასკ), დამირ კირცხალიამ (62, ასკ) — ამ სპორტსმენს გადაეცა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონის გივი კარტოზიას სახელობის პრიზი — მურად ჭაბუკაშვილმა (68, პროფკავშირები), მირიან გედეხაურმა (74, ასკ), ირაკლი ნასყიდაშვილმა (81, პროფკავშირები), როლანდ გობოზოვმა (90, „შრომითი რეზერვები“), გოჩა ანდრიაძემ (100, ასკ) და ბესიკ ჩანჩიბაძემ (+100, ასკ).

**როინ დოგორჯგინიძე,**
**საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

ჭადრაკში ვაჟთა მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩი

# გამსვლელი პაიკის იმედით

**ბელგიის** ქალაქ ანტვერპენში დაიწყო ჭადრაკში კიდევ ერთი მეოთხედფინალური მატჩი. ერთმანეთს ხვდებიან ჰოლანდიელი იან ტიმანი და უნგრელი ლაიოშ პორტიში. პირველი პარტია გადაიდო, შავებს „სახიფათო“ გამსვლელი პაიკი ჰყავთ.

## ივანე იარიგინი:

# დრო გვიკარნახებს „მოდას"

— ალბათ, სპორტის არც ერთ სახეობას არ განუცდია წესების ისეთი ხშირი შეცვლა, როგორც ეს განიცადა თავისუფალმა ჭიდაობამ. თითოეული ასეთი ნაბიჯი მიზნად ისახავს მის შემდგომ პროგრესს. სეულის ოლიმპიადის შემდეგ საერთაშორისო ფედერაციის მიერ მიღებული რეფორმები იგივე მიზანს ისახავს — მიანიჭოს ჭიდაობას მეტი დინამიზმი, ემოციურობა, სილამაზე.

ასეთია სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელის, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ივანე იარიგინის აზრი. იგი ხელმძღვანელობდა თავის აღსაზრდელებს თბილისის საერთაშორისო ტურნირზე. ეს პოპულარული ასპარეზობა ოცდამერვედ გაიმართა და პირველად მოეწყო ფილა-ს ახალი წესებით: ორთაბრძოლები გრძელდება ხუთ წუთს შეუსვენებლივ.

ი. იარიგინი იწონებს ამ სიახლეს:

— უკანასკნელი წლების განმავლობაში, უნდა ვაღიაროთ, რომ ჭიდაობამ რამდენადმე დაკარგა თავისი სანახაობრივი მხარე. ხშირი იძულებითი შეჩერება, ტაქტიკური მოსაზრებებით დროის „დაგეგმილი" გაჭიანურება უმრავლეს შემთხვევაში ორთაბრძოლებს უინტერესოს ხდიდა, მაგრამ ახალი წესები ახალისებენ ორთა ბრძოლებს. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელმა თქვა, რომ თბილისის ტურნირმა დაგვარწმუნა, თუ რამდენად სასარგებლოა სიახლის მრავალი პუნქტი: ორთაბრძოლებმა ჩაიარა ცოცხლად და საინტერესოდ, მრავალი შერკინება გამოირჩეოდა დიდი სიმწვავით.

— ახალი წესები, კერძოდ ორთაბრძოლათა შემცირებული დრო, უთუოდ, მოითხოვს სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გადასინჯვასაც, ახლა უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ სპორტსმენების ამტანობას. განმსაზღვრელი გახდა სწრაფი ტემპი, მრავალფეროვანი ტექნიკა და აზროვნების სისწრაფე.



ნაკრები გუნდის მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა ტურნირის შედეგებით, რომელმაც დაიწყო მიმდინარე წლის საერთაშორისო კალენდარი, საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ექვს წონით კატეგორიაში, თუმცა ამჯერად ასპარეზობაში მონაწილეობა არ მიუღია მრავალ ლიდერს.

— უმძიმესმა ოლიმპიურმა სეზონმა მათ ბევრი ძალა წაართვა და ყველამ ვერ მოასწრო აღდგენა. მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, წამყვან ათლეტებს დასვენების საშუალება მივეცით. მაგრამ უამისოდაც კონკურენცია ყოველ წონით კატეგორიაში მწვავე აღმოჩნდა.

ჭიდაობის მოყვარულებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ახალგაზრდა სპორტსმენთა დიდ ჯგუფს, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი თანატოლთა ტურნირებში და, რომლებზეც განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელი.

— მრავალი მათგანი პირველად გამოდიოდა მოზრდილთა ასპარეზობაში, თქვა შემდეგ ივანე იარიგინმა. — და ეს ჩვენ შეგნებულად გავაკეთეთ. ახალგაზრდობა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავაჟკაცდეს ტიტულიან მეტოქეებთან ორთა ბრძოლებში, შეიძინოს საერთაშორისო გამოცდილება. დიახ, ჩვენი ლიდერების უმრავლესობა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და ისინი ჯან-ღონით აღსავსენი არიან. ჩვენ მათი დიდი იმედი გვაქვს. მაგრამ, მომავალ ოლიმპიადამდე საკმაო დროა და არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ ყველა შეძლებს კარგი ფორმის შენარჩუნებას. ამიტომ უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია მათთვის სრულფასოვანი ცვლის მომზადება.

სწორედ ამ თვალსაზრისითაც შეაფასა ი. იარიგინმა თბილისში გამართული ასპარეზობა, რომელმაც ახალი ნიჭიერი სპორტსმენები გამოავლინა.

— ახალგაზრდობამ ძალზე კარგად გამოიჩინა თავი. 18-19 წლის ჭაბუკები არ ეპუებოდნენ ავტორიტეტებს, უჩვენეს თავიანთი ასაკისათვის უჩვეულოდ მოწიფული, ტექნიკური, ტაქტიკურად გააზრებული ჭიდაობა. ტურნირის სასიამოვნო აღმოჩენა გახდა თბილისელი მერაბ ვალიევი (130 კილოგრამამდე წონითი კატეგორია), მახაჩყალელი ბაგაუტდინ უმახანოვი (52 კგ), გორკელი სერგეი კოვალევსკი (90 კგ). და განსაკუთრებით, თბილისელი გოჩა მაკოევი (62 კგ.), რომელიც პირველად გამოდიოდა მოზრდილთა ასპარეზობაში და გაიმარჯვა. ამ ახალგაზრდებს მაღალი კლასის მოჭიდავეებად ჩამოყალიბების ყველა მონაცემი აქვთ.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელმა თქვა, რომ ამ ტურნირის შედეგებით ძირითადად განისაზღვრება ორი შემადგენლობა, რომლებიც წელს გაზაფხულზე გამოვლენ დიდ ოფიციალურ ასპარეზობებში. მარტში თურქეთში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი, მაისში კი ამერიკის ქალაქ ტოლედოში მოეწყობა მსოფლიო თასის მორიგი გათამაშება.

**შ. შალოლაშვილი,**
**საქინფორმის კორ.**

## პროფკავშირთა პირველობაზე

# „შესანიშნავი შვიდეული"

**რა** თქმა უნდა, მიამიტობა იქნებოდა იმის თქმა, რომ ამ დღეებში ფრუნზეს რინგზე გამართულ 55-ე საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს წარგზავნილთა ხელმოცარვის (იქ მონაწილე 8 მოკრივეთაგან ვერც ერთმა ვერ მიაღწია სამეულს) „რევანში შედგა" მოგილიოვში, იმავე დღეებში გამართულ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობაზე ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლების აღსაზრდელთა შორის. მაგრამ წარუმატებლობის ფონზე ყოველ გამარჯვებას, რა მასშტაბისაც უნდა იყოს იგი, ახლა დიდ სიხარულთან ერთად იმის იმედიც მოაქვს, რომ მალე ყინული დაიძვრება, რასაც მოჰყვება გამარჯვებები დიდ რინგზე, ბოლოს და ბოლოს პერსპექტიულ რეზერვსა და მოზრდილთა ნაკრებს შორის ვაკუუმი შეივსება.

რაც შეეხება მოგილიოვის შეხვედრებს, იქ ჩვენი ქვეყნის 26 სკოლის 198 მოკრივე იბრძოდა უძლიერესის სახელისათვის. მათ შორის გამოირჩეოდნენ საქართველოს მოკრივეები, კერძოდ კი ის „შესანიშნავი შვიდეული", რომელმაც ტოლი არ დაუდო მეტოქეებს და გუნდურ გამარჯვებას დაეუფლა. ჩვენმა სპორტსმენებმა პირად პირველობაშიც ისახელეს თავი და ოქროსა და ვერცხლის მედლებით მკერდდამშვენებული დაგვიბრუნდნენ.

ჩემპიონის წოდებები მოიპოვეს: მესტიელმა რომან ფალიანმა (44 კგ), თბილისელმა ჰენრიხ გაბოიანმა (46), ფოთელმა პაატა გვასალიამ (52) და რუსთაველმა რობერტ ჩიბუხჩიანმა (57). ვერცხლის პრიზიორები გახდნენ: თბილისელი სპორტსმენები ოლეგ მღებრიშვილი (74), სულხან კეპულაძე (79) და ნიკოლოზ ჩერნიშოვი (+85).

განსაკუთრებით მაღალ დონეზე წარმართეს ორთა ბრძოლები ფალიანმა და გვასალიამ, რომლებმაც დიდი უპირატესობით სძლიეს მეტოქეებს წინასწარ შეხვედრებსა და დასკვნით, ფინალურ ასპარეზობებში.

შეჯიბრებისათვის გუნდი მოამზადეს უფროსმა მწვრთნელმა დავით ქავთარაძემ, მწვრთნელებმა ირაკლი არაბულმა და ვიტალი საპელკომ.



**ს უ რ ა თ ზ ე: პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლების საკავშირო პირველობის გამარჯვებული საქართველოს გუნდი. პირველ რიგში (მარცხნიდან) — რ. ჩიბუხჩიანი, რ. ფალიანი, ჰ. გაბოიანი, პ. გვასალია, მეორე რიგში — მწვრთნელი ი. არაბული, ნ. ჩერნიშოვი, ა. მღებრიშვილი, ს. კეპულაძე, უფროსი მწვრთნელი დ. ქავთარაძე.**

**ჯემალ კასრაძის ფოტო.**

## ნაკრები იტალიაში მიემგზავრება

**1989 წლის** საფეხბურთო სეზონისთვის მზადებას იწყებს სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდი ვალერი ლობანოვსკის ხელმძღვანელობით. ნაკრების შემადგენლობაში 24 ფეხბურთელია.

ჩვენი გუნდი თავდაპირველად ჩავა მილანში და იქაური ცნობილი კლუბის „ინტერის" ბაზაზე დაბინავდება.

საბჭოთა ფეხბურთელები 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატისთვის ემზადებიან, ეს შეჯიბრება კი სწორედ იტალიაში გაიმართება. ჩვენი ნაკრები ამ ქვეყანაში 19 თებერვლამდე დაჰყოფს, რამდენიმე საკონტროლო მატჩს გამართავს, კერძოდ, 15 თებერვალს მილანში შეხვდება „ინტერს" — იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის ლიდერს. შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები ბულგარეთს გაემგზავრებიან, სადაც 21 თებერვალს სოფიაში შეხვდებიან ამ ქვეყნის, ეროვნულ ნაკრებს.

ნაკრების შემადგენლობაში შემდეგი ფეხბურთელები არიან: ჩანოვი, ხარინი, დემიანენკო, კალაიჩევი, ოლეინიკოვი, ო. კუზნეცოვი, რაცი, ჩერედნიკი, იაკოვენკო, ლიტოვჩენკო, იაროვენკო, ზიგმანტოვიჩი, ტიშჩენკო, დობროვოლსკი, ტატარჩუკი, ი. სავიჩევი, მიხაილიჩენკო, პროტასოვი, ბელანოვი, ივანაუსკასი, იარემჩუკი, ბოროდიუკი, შირინბეკოვი, ალეინიკოვი, გორლუკოვიჩი.

## ეროვნული გუნდების პრობლემები

**პარიზი.** საფრანგეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მიშელ პლატინი კვლავინდებურად „ძველი გვარდიის" მოთამაშეებს იწვევს თავის გუნდში. ჟან ტიგანას შემდეგ, რომელიც შარშან წავიდა ნაკრებიდან და მ. პლატინის ნაკრებში დანიშვნის შემდეგ დაუბრუნდა მას, ეროვნულ გუნდს დაუბრუნდა პატრიკ ბატისტონიც. „მონაკოს" მცველი მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ, რომელიც 7 თებერვალს შედგება დუბლინში.




ჟურნალისტებთან საუბარში მ. პლატინიმ განაცხადა:

— მიუხედავად იმისა, რომ ტიგანაც და ბატისტონიც 30 წელს გადაცილებულნი არიან, ისინი შესანიშნავად თამაშობენ თავიანთ კლუბებში. ფრანგული ფეხბურთი ამჟამად მძიმე პერიოდს განიცდის, საჭიროა მისი კრიზისიდან გამოყვანა და ისეთი ფეხბურთელების დახმარებით, როგორიც არიან ტიგანა, ბატი, ამარო, ბატისტონი, ვფიქრობ, შევძლებთ ძნელი ამოცანის გადაწყვეტას. ეს მარტო მეგობრული ჟესტი როდია, ამ ფეხბურთელთა მიმართ, ჩემი გადაწყვეტილება მხოლოდ ნაკრების ინტერესებითაა ნაკარნახევი.

**მადრიდი.** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ, რომელშიც ესპანეთის ნაკრები ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდს უნდა შეხვდეს, ესპანელთა ხელმძღვანელებს პრაქტიკულად არავითარი ცვლილება არ მოუხდენიათ თავიანთ გუნდში. თავდასხმის რგოლში კვლავინდებურად გამოვლენ ხულიო სალინასი, ემილიო ბუტრაგენიო, ჰოსე ბაკერო.

— შესარჩევი ჯგუფის ლიდერები ვართ, — თქვა ესპანელთა მწვრთნელმა ლუის სუარესმა. — მალტის ფეხბურთელებთან გამარჯვებამ ცხადყო, რომ ურთიერთმოქმედება გუნდში გაუმჯობესდა, იმედი მაქვს ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდთან წარმატებით ვითამაშებთ, თუმცა მეტოქის მინდორზე მოგვიწევს გამოსვლა.

**ბონი.** გფრ-ის ნაკრებში დაბრუნების სურვილი გამოთქვა ამ ქვეყნის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა კარლ-ჰაინც ფიორსტერმა. 30 წლის ცენტრალური მცველი ამჟამად საფრანგეთის „მარსელში" გამოდის. მას განზრახული აქვს მოლაპარაკება გამართოს გფრ-ის ნაკრების მწვრთნელთან ფ. ბეკენბაუერთან, რომელსაც არაერთხელ გამოუთქვამს უკმაყოფილება ფიორსტერის ნაკრებიდან წასვლის თაობაზე (ფიორსტერს 81 მატჩი აქვს ნათამაშევი ამ გუნდის შემადგენლობაში).

— დასავლეთ გერმანიის ნაკრებს შესარჩევ ტურნირში რთული მატჩები მოელის და თუ გუნდს რამეში გამოვადგები, მზად ვარ ყველაფერი გავაკეთო მისი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოსახვედრად. — თქვა კ. ჰ. ფიორსტერმა.

## მთავრობა ეხმარება ორგკომიტეტს

**იტალიის** ხელისუფლებამ დაამტკიცა 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარდგენილი სამზადისის გეგმა. მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებს გამოუყვეს 2,6 მილიარდი დოლარი, ეს კოლოსალური თანხა მოხმარდება ახალი სასტუმროების მშენებლობას, ძველის რეკონსტრუქციას, ტრანსპორტის გაუმჯობესებას, გზების მოწყობას. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩები გაიმართება 12 ქალაქში, იტალიელები ამ პერიოდში მოელიან დაახლოებით 8 მილიონ ტურისტს, მათი ღირსეულად მიღებისა და მომსახურებისთვის აქ ამთავითვე ღებულობენ წინასწარ ზომებს.

იტალიის ტურიზმისა და სანახაობრივ ღონისძიებათა მინისტრმა ფრანკო კარარომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ყველა საორგანიზაციო სამუშაო დასრულდება 1990 წლის აპრილისთვის.

## 11 ბრაზილიელი

**ბრაზილიის** ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ახალმა უფროსმა მწვრთნელმა ს. ლაზარონიმ დაასახელა 11 ფეხბურთელი, რომელსაც მისი აზრით თითქმის „100-პროცენტიანი შანსი აქვთ" 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში გამოვიდნენ.

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული იყო ბრაზილიის ნაკრების კანდიდატთა სია. სულ ახლახან ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის შტაბბინაზე ს. ლაზარონიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პირველ ყოვლისა, იმ მოთამაშეთა იმედი აქვს, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი სეულის ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირზე. აი, მწვრთნელის სავარაუდო გუნდი: მეკარე ტაფარელი, მცველები ჟორჟინიო, სეზარი, რიკარდო, მაზინიო, შუა მინდვრისა და თავდასხმის მოთამაშეები დუნგა, ჟეოვანი, ტიტა, ვალდო, რენატო, კარეკა.

## „ლოკომოტივი" ამერიკაში

**ამერიკის** შეერთებულ შტატებში ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად იმყოფებიან მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელები. „ლოკომოტივმა" პირველი მატჩი ქ. ბალტიმორაში გამართა ადგილობრივ „ბლასტთან" და წააგო ანგარიშით 4:8 (თამაში დარბაზში მიმდინარეობდა).

## ესპანეთში გადაბარგდა

არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე ლუის ისლასმა ხელი მოაწერა ახალ ხელშეკრულებას და მადრიდის „ატლეტიკოში" ითამაშებს, მანამდე 24 წლის ფეხბურთელი „ინდეპენდიენტეში" გამოდიოდა.

## საბოლოო შედეგები

„ფრანს ფუტბოლმა" გამოაქვეყნა „ოქროს ბუცის" პრეტენდენტთა საბოლოო შედეგები.

პირველი პრიზი, როგორც ვიუწყებოდით, მიენიჭა ჩოლაკს (თურქეთი, სტამბოლის „გალათასარაი"), რომელმაც 39 გოლი გაიტანა. „ვერცხლის ბუცის" მფლობელი გახდა დანიელი ფეხბურთელი ერიქსენი (თამაშობს შვეიცარიაში, ჟენევის „სერვეტში") — 36 ბურთი, „ბრინჯაოს ბუცისა" — კოინი (შოტლანდია, „დანდი იუნაიტედი") — 33 ბურთი.

## „გუერინ სპორტივოს" ანკეტით

იტალიურ ჟურნალ „გუერინ სპორტივოს" ტრადიციული ანკეტით ევროპის კლუბების ყველაზე უკეთეს ახალგაზრდა ფეხბურთელად (24 წლამდე) მიჩნეულია ოჰანა (ისრაელი), რომელიც ბელგიის „მეჰელენში" გამოდის. მომდევნო ორი ადგილი მიეკუთვნათ ბონეტის (იტალია, ბერგამოს „ატალანტა") და ვიჩგეს (ჰოლანდია, ამსტერდამის „აიაქსი").

## სწორედ ის შეკულარაცი

წარსულში პოპულარული იუგოსლაველი ფეხბურთელი, 51 წლის დრაგოსლავ შეკულარაცი დაინიშნა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" მწვრთნელად. მან ამ პოსტზე ბრანკო სტანკოვიჩი შეცვალა. ადრინდელ მწვრთნელს ადანაშაულებენ გუნდის სუსტად გამოსვლაში იუგოსლავიის ჩემპიონატშიც და ევროპის ქვეყნების ჩემპიონობის თასზეც.

## ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი

ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს გარტ კრუქსი (ლონდონის „ჩელსი"). ეს ორგანიზაცია ფეხბურთელთა პროფესიული კავშირი გახლავთ და იცავს მათ ინტერესებს კლუბების მეპატრონეებთან წარმოქმნილ კონფლიქტებში.

## „გთხოვთ, გამყიდოთ"

ასეთი განცხადებით მიმართა „ლივერპულის" ფეხბურთელთა კლუბის 31 წლის მეკარემ გრობელაარმა ხელმძღვანელობას, რომელიც რამდენიმე სეზონის მანძილზე წარმატებით თამაშობდა ძირითად შემადგენლობაში.

მეკარე მენინგიტით დაავადდა, გადაურჩა საფრთხეს, მაგრამ მკვეთრად დაუკლო თამაშს და ძირითად შემადგენლობაში დაკარგა ადგილი. ამიტომ იგი გაყიდვას მოითხოვს.

## 6 თვე უხელფასოდ

არგენტინის პირველი ლიგის კლუბ „გიმნასიის" (ქ. ესპერანსა) ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს ხელმძღვანელობას ბოიკოტი გამოუცხადონ და მის გადადგომას მიაღწიონ. როგორც თვით ფეხბურთელები ირწმუნებიან, მათ 6 თვის განმავლობაში ხელფასი არ მიუღიათ.

# სცენაზეა... სპორტი

**საქართველოს** სახელმწიფო ფილარმონიამ მრავალ სიკეთესთან ერთად ამ ბოლო დროს სპორტსაც დაუთმო ყურადღება. სასიხარულო და მისასალმებელი ფაქტია. ჯერ იყო გასული წლის დამლევს აქ გაიმართა შეხვედრა სახელგანთქმულ სპორტულ კომენტატორთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ნიკოლაი ოზეროვთან. და აი, ახლა ფილარმონიის დიდ საკონცერტო სცენაზე კვლავ გამეფდა სპორტი — მშვენიერების, ძალისა და გრაციის დღესასწაული. როგორც სარეკლამო აფიშებში იუწყებოდნენ, „სპორტული შოუ".

— დიდი ხანია მინდოდა შემექმნა ასეთი სანახობა, ხელოვნებისა და სპორტის სინთეზი, — გვეუბნება დამდგმელი რეჟისორი ოთარ ღვაბერიძე. სპორტიცა და ხელოვნებაც ჩემი გატაცებაა. სხვათა შორის, ოცდამეთხუთმეტე საფეხბურთო სკოლა დავამთავრე მიშა მესხთან, ანზორ კავაზაშვილთან და ოთარ რუხაძესთან ერთად, მარჯვენა შუამარბად ვთამაშობდი. მაგრამ მერე ხელოვნებას გავყევი. ასე რომ, სიხარულით მივიღე წინადადება „სპორტული შოუს" დადგმაზე. საინტერესო ჩანაფიქრს აქტიურად დაუჭირეს მხარი როგორც ფილარმონიამ, ისე რესპუბლიკის სპორტსახკომმა, როგორც ნახეთ, აკრობატიკას (მსოფლიოს ჩემპიონი — თბილისელ ქალთა სამეული), ათლეტიზმს, აერობიკას, უშუ-ს, კარატეს, ფეხბურთის სცენური ენა მივეცით, თეატრალიზებული სახით გამოვიყენეთ სხვადასხვა ლეგენდები თუ ხერხები. თუ რამდენად გამოგვივიდა ეს, მაყურებელმა განსაჯოს.

კონცერტში გამოდიოდნენ აგრეთვე ესტრადის პოპულარული მსახიობები — საქართველოს სახალხო არტისტი ქართლოს კასრაძე (პროგრამის წამყვანი), ცნობილი გიტარისტი, ავტორ-შემსრულებელი ოთარ რამიშვილი, ახალგაზრდა მსახიობები — გიტარისტები მიშიკო რამიშვილი, გიორგი ბარათაშვილი, ძმები რომან და თენგიზ კრიხელები (იოგა), გოგონათა ჯგუფი „მოდა — 89", პიონერთა სასახლის ქორეოგრაფიული ანსამბლები „ციცინათელა", „იმედი" და სხვა.

საინტერესოდ ჩაფიქრებული, ლაღი იუმორით აღსავსე საღამო, მაყურებლით სავსე დარბაზი, ამ სახის პირველი წამოწყება, გვაფიქრებინებს, რომ შემდგომში ანალოგიური კონცერტები უფრო მიმზიდველი და მრავალფეროვანი გახდება. იქნებ მასში მონაწილეობისათვის ცნობილი ქართველი ვეტერანი სპორტსმენებიც მოვიწვიოთ. ისინი, დარწმუნებული ვართ, ბევრ საინტერესოს გაიხსენებენ სპორტისა და ხელოვნების ოსტატთა ურთიერთობის ისტორიიდან.

ეჭვი არ არის, რომ ასეთი საღამოების შემდეგ კონტაქტები გაღრმავდება ხელოვნებასა და სპორტს შორის, კიდევ უფრო ამაღლდება ორივე „მუზის" მსახურთა და თაყვანისმცემელთა სულიერი დონე.

ბოლოს ერთი შენიშვნა: საღამოს ფინალში ნორჩების მასობრივი ცეკვა მიდიოდა ყველასათვის ცნობილი „კან-კანის" მელოდიის თანხლებით, რაც, დაგვეთანხმებით, სულ სხვა ასოციაციებს იწვევს და, რა თქმა უნდა, არაფერი აქვს საერთო შვიდი-რვა წლის გოგო-ბიჭებთან.

**ოთარ ნოზაძე**

**სურათებზე: ათლეტიზმისა და კარატეს ოსტატების გამოსვლა.**

იური გალდავას ფოტოები.





## კრიტიკული სიტუაცია

**როგორც** ცნობილია, წლევანდელი ზაფხულის უნივერსიადა უნდა ჩატარდეს 19-30 აგვისტოს. 1987 წელს უნივერსიადის მასპინძლობა ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუს დაევალა, მაგრამ წლეულს იანვრის პირველ რიცხვებში ბრაზილიელებმა ფინანსური მოსაზრებებით შეჯიბრების ჩატარებაზე უარი თქვეს.

მაშინ საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ უნივერსიადის მოწყობა სეულს (სამხრეთ კორეა) და რეილის (აშშ, ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) შესთავაზა. ახლახან ცნობილი გახდა, რომ ორივე ქალაქმა დროის უკმარობის გამო უარი თქვა წინადადებაზე.

შეიქმნა კრიტიკული სიტუაცია და საჭირო გახდა სპეციალური ზომების მიღება. ამას წინათ ბრიუსელში გამართულ პრეს-კონფერენციაზე საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა როკ კამპანამ განაცხადა, რომ დახმარებას სტუდენტთა ორგანიზაცია ელის ამერიკის სხვა ქვეყნებიდან, აგრეთვე მაროკოდან, გფრ-დან, ბულგარეთიდან და საბჭოთა კავშირიდან. მომავალი კანდიდატის ვინაობა უახლოეს ორ კვირაში უნდა დადგინდეს.

გაცილებით უკეთ არის მომდევნო უნივერსიადის საქმე. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ცნობილია, რომ 1991 წლის უნივერსიადას შეფილდი (ინგლისი) უმასპინძლებს.

### ფლოიდ პატერსონი შვეციაში

**წარსულში** სახელგანთქმული მოკრივე, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალთა შორის ფლოიდ პატერსონი (აშშ) ამიერიდან შვეციაში იმუშავებს. იგი ადგილობრივ კლუბ „გრამნეს" მწვრთნელი გახდა.

## სპორტული კალენდარი თებერვალი

**2-5. ცურვა** — საქართველოს სსრ ჩემპიონატი მოზრდილთა, 1971 (ვაჟები) და 1973 წელს (გოგონები) დაბადებულთა შორის. **თბილისი.**

**6-9. აკრობატიკა** — საქართველოს ჩემპიონატი. **სოხუმი.**

**10-15. ბადმინტონი** — საქართველოს თასი. **ქუთაისი.**

**27-1/III. კალათბურთი** — საქართველოს ქალთა ჩემპიონატის I ტური. **ქუთაისი, თბილისი.**

**20-23. წყალბურთი** — I ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის I წრის II ტური. **თბილისი.**

**12-19. წყალბურთი** — საქართველოს ჭაბუკთა პირველობა. **თბილისი.**

**17-19. ფრენბურთი** — ქალთა საკავშირო ჩემპიონატის შერჩევითი შეხვედრები. **თბილისი.**

**7-20. სამთო-სათხილამურო სპორტი** — I რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები 1969 წლამდე დაბადებულთა შორის. **ბაკურიანი.**

**15-26. სამთო-სათხილამურო სპორტი** — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და საერთაშორისო შეჯიბრება ქალთა შორის. **გუდაური.**

**23-26. ძიუდო** — თბილისის საერთაშორისო ტურნირი (ვაჟები).

**25-26. მძლეოსნობა** — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და პირველობა კროსში მოზრდილთა, 1970-71 წლებში დაბადებულ იუნიორთა და გოგონებს შორის. **ბათუმი.**

**10-18. ალპინიზმი** — საქართველოს თასი. **ფოთი.**

**6-12. წყალში ხტომა** — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზის გათამაშება. **თბილისი.**

**11-12. თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა** — საქართველოს პირველობა ზამთრის I ახალგაზრდულ თამაშების პროგრამით. **ბაკურიანი.**

**17-22. თანამედროვე ხუთჭიდი** — საქართველოს თასი. **თბილისი.**

**27-4/III. მშვილდოსნობა** — 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა რესპუბლიკური შეჯიბრება. **თბილისი.**

**20-26. ტყვიის სროლა** — საქართველოს თასის გათამაშება ოლიმპიურ ვარჯიშებში. **თბილისი.**

**23-26 მაგიდის ჩოგბურთი.** — საქართველოს პირველობა I ლიგის I ტური. **თბილისი, თელავი.**

**25-27. ძალოსნობა და სიმძიმეების აწევა** — საქართველოს თასის გათამაშება სიმძიმეების აწევაში. **ცხინვალი.**

**16-20. ძალოსნობა** — საქართველოს პირველობა 1973-75 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ჭიათურა.**

**20-14/III. ჭადრაკი** — I ლიგის საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. **ქუთაისი.**

**4-17. შაში** — საქართველოს ქალთა პირველობა საერთაშორისო შაშში. **თბილისი.**

## „შალგირისი" ნახევარფინალში

**კაუნასი.** ადგილობრივმა „ჟალგირისმა" ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩი მოუგო დასავლეთგერმანიის „შტაინერს" და კალათბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ამ შეხვედრაში ლიტველთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ ტაიმიც და შეხვედრაც საგრძნობი უპირატესობით მოიგეს — 124:82 (54:38). შეგახსენებთ, რომ „ჟალგირისმა" ჯგუფურ ტურნირში ოთხი შეხვედრა მოიგო და ორი დათმო.

### ტელეტაიპი - მაუწყებელი

**ოსლო.** მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ფინეთის ქალაქ ლახტში ჩატარდება, ნორვეგია 23 სპორტსმენს აგზავნის. ამ ქვეყნის სპეციალისტები გარკვეულ იმედებს ამყარებენ ვეგარდ ულვანგზე, პალ-გუნარ მიკელსპლასზე, მარიან დალმუსა და კიდევ რამდენიმე მოთხილამურეზე.

**ჰელსინკი.** ფინეთის მოთხილამურეთა ნაკრებს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში გამოვა, ორი კაპიტანი ჰყავს, ვაჟებში — ტრამპლინიდან მხტომელი მატი ნიუკიანენი, ქალებში — მორბენალი მარიო მატიკაინენი. ფინელებს ყველაზე დიდი იმედი სწორედ ამ ორი სპორტსმენისა აქვთ.

**გაიმართა** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

**საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები**

### თურქეთი

**მე-19 ტური.** „ბეშიქთაში" — „ანკარაგიუჯუ" 3:1, „ბურსასპორი" — „სარისპორი" 2:1, „ესკიშეჰირსპორი" — „ტრაბზონსპორი" 0:0, „ფენერბახჩე" — „რიზესპორი" 3:0, „კარსიაკა" — „გალათასარაი" 0:0, „ადანასპორი" — „ალტაი" 2:1, „ზაქარიასპორი" — „დემირსპორი" 2:1, „ბოლუსპორი" — „კაჰრამანი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბეშიქთაში" | 19 | 47-9 | 47 |
| „ფენერბახჩე" | 19 | 47-14 | 46 |
| „ბოლუსპორი" | 19 | 34-21 | 36 |

### საბერძნეთი

**მე-16 ტური.** „ირაკლისი" — „ოფი კრეტა" 2:0, „ეთნიკოსი" — „ლევადიაკოსი" 1:2, „არისი" — „დოქსა" 1:0, „პანათინაიკოსი" — „ვოლოსი" 2:0, „აპოლონი" — „ოლიმპიაკოსი" 0:2, „ლარისა" — „პაოკი" 2:1, „აეკი" — „პანიონიოსი" 2:0, „დიაგორა" — „კალამარია" 1:4.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპიაკოსი" | 16 | 32-13 | 23 |
| „აეკი" | 16 | 23-9 | 23 |
| „პაოკი" | 16 | 28-17 | 21 |

### შოტლანდია

**25-ე ტური.** „დანდი იუნაიტედი" — „ჰართსი" 0:0, „ჰიბერნიანი" — „სელტიკი" 1:3, „მოზერველი" — „აბერდინი" 0:2, „რეინჯერსი" — „დანდი" 3:1, „სენტ მირენი" — „ჰამილტონი" 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი" | 25 | 41-19 | 37 |
| „დანდი იუნაიტედი" | 25 | 35-12 | 35 |
| „სელტიკი" | 25 | 53-33 | 32 |

### ინგლისი

**22-ე ტური.** „არსენალი" — „შეფილდი" 1:1, „ქოვენთრი" — „უიმბლდონი" 2:1, „ლივერპული" — „საუთჰემპტონი" 2:0, „ლუტონი" — „ევერტონი" 1:0, „მიდლსბრო" — „ტოტენჰემი" 2:2, „ნიუკასლი" — „ჩარლტონი" 0:2, „ნოტინგემი" — „ასტონ ვილა" 4:0, „ქუინს პარკი" — „დერბი" 0:1, „ვესთ ჰემი" — „მანჩესტერი" 1:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „არსენალი" | 21 | 46-22 | 44 |
| „ნორვიჩი" | 22 | 33-24 | 41 |
| „ქოვენთრი" | 22 | 31-22 | 36 |

### ჰოლანდია

**მე-18 ტური.** „სიტარდი" — „გრონინგენი" 0:0, „უტრეხტი" — „ჰარლემი" 2:1, „მასტრიხტი" — „ეინდჰოვენი" 1:3, „ფეიენორდი" — „ვალვიკი" 0:0, „ვოლენდამი" — „როდა" 1:0, „ვენლო" — „ტვენტე" 1:1, „დენ ბოში" — „სპარტა" 2:1, „ტილბურგი" — „ცვოლე" 4:1, „ვეენდამი" — „აიაქსი" 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი" | 18 | 40-16 | 29 |
| „აიაქსი" | 18 | 41-21 | 26 |
| „ტვენტე" | 18 | 28-14 | 23 |

### პორტუგალია

**22-ე ტური.** „გიმარაეში" — „ბენფიკა" 1:2, „ესპინიო" — „პორტო" 1:2, „სეტუბალი" — „ნასიონალი" 0:1, „პენაფიელი" — „ლეიქსოეში" 1:1, „ამადორა" — „შავიში" 1:1, „ბოავიშტა" — „ბეირა" 1:0, „სპორტინგი" — „ბრაგა" 2:0, „პორტიმონენსე" — „ბელენენსეში" 2:2, „ვისეუ" — „ფარენზე" 3:1, „ფაფე" — „მარიტიმო" 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა" | 22 | 31-10 | 34 |
| „პორტო" | 22 | 26-12 | 32 |
| „სპორტინგი" | 22 | 29-17 | 28 |

(საქ. ინფ.).

### „სპორტლოტო"

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-5 ტირაჟების შედეგები, რომელიც გაიმართა 1989 წლის 29 იანვარს.

„სპორტლოტო" 6 45"-დან: დაშვებულია 1.953093 ვარიანტი. ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (60 ვარიანტი) მოგება 1.318 მანეთია, ოთხისთვის (2.360) — 37, სამისთვის (42.169) — 3.

„სპორტლოტო 5 36"-დან: დაშვებულია 20.467 675 ვარიანტი. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (23 ვარიანტი) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (5.600) — 167, სამისთვის (190.175) — 10.

მოგებული თანხა მე-5 ტირაჟის ბილეთებისა და 10 ტირაჟიანი ბილეთების, რომლებიც მონაწილეობდნენ 1988 წლის 48-ე ტირაჟიდან 1989 წლის მე-5 ტირაჟების გათამაშებებში, გაიცემა 1989 წლის 13 თებერვლიდან 13 მარტის ჩათვლით.

## დანაშაული და სასჯელი

**ნიუ-იორკი.** ჰილსბროს (აშშ) საოლქო სასამართლომ 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა წყალში მხტომელ ბრიუს კიმბალს, რომელიც მთვრალი მართავდა ავტომანქანას და ორი მოზარდი იმსხვერპლა.

ტრაგედია მოხდა გასული წლის აგვისტოს, როცა 25 წლის კიმბალი, 1984 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, სეულის თამაშებისთვის ემზადებოდა. ქალაქ ბრენდონის (ფლორიდას შტატი) ერთ-ერთ ქუჩაზე იგი დიდი სისწრაფით დაეჯახა მოზარდთა ჯგუფს. ორი ბავშვი ადგილზევე გარდაიცვალა, ოთხმა კი სერიოზული დაზიანება მიიღო. კიმბალის სისხლის ანალიზმა ცხადყო ალკოჰოლის ისეთი დოზა, რომელიც შტატის კანონებით დაშვებულ ნორმას ორჯერ აღემატებოდა.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93.97.55, სამდივნო — 93.97.52, ინფორმაციის განყოფილება — 93.97.58, „მერანი" — 93.97.26, „ზარები" — 93.97.27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ბაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10345